

სახელმწიფო კულტურული

გორგალაშვილი

ს უ რ ა თ ე ბ ი ა ნ ი დ ა მ ა ტ ე ბ ა

განხილვის № 250

დამატების № 45

გვირა, 5 აპრილი 1915 წ.



1
და მე ჯერ კიდევ იმ აზრს ვერც კი შევრიგებივარ,
და ჯერ ეს გული რწმენით ვერც კი დამიშოშმინდა;—
რომ სამუდამოდ მაატოვე შენი მკონელი,
რომ სამუდამოდ მაატოვე ალერსი წმინდა...
და ნუ თუ ეხლა შენს კაწაწებს, ჯარჯივით ნაყარს,
ან შენს ლბილ ბაგეს, ბაგეს მტრედთა ფრჩხილების ფერსა,
ვიღაცა უცხო დაეკონა ბინძურ შეხებით,
ვიღაც რაყიფმა ვნებიანმა მიუალერსა??
ნუ თუ ის ქალი, ვინც ჰყიცავდა ერთგულ სიყვარულს,
ეხლა სწუხს, სტირის, იმრიზება, ყოყმანობს ნანობს?
ნუ თუ ის ლექსი,—სიჭამუქის ტრფობის ფოთოლი,—
არ შარიშურობს შენს ყურებში, ალარ ხმოვანობს??

2
მე მაგონდება ვერცხლის ღამე, ღამე გრძნეული,
და... გაბნეული ვარსკვლავები ცის კამარაზე;
მე მაგონდება შენი სახლის ზემო სართული,
და... დახლართული ყვავილები შენს ფანჯარაზე—
და იმ ფანჯრის ქვეშ მეზობლის ხმა, ხმა, ფანჯრის ქვეშ ხმა,
როს შენმა ეშხმა მოსპო კოცის შარავანდედით,
მე მაგონდება კიდევ ერთი, სხვა მაგალითი,
როს შენი თითო შევაეშხე ბელგის ბეჭედით,—
და ნუ თუ ეხლა სუყველა ეს მოჰკვდა, განქარდა?!—
თუ არ გიყვარდა მგოსნის სული გაუჭირველი—
მაშ რად ჰყიცავდი, რად მეოცნიდი, რად შემიყვარე,
ან რად დაპლვარე სიყვარულის ცრემლი პირველი?!?

3
ო, შე უგულოვ! შე ულმეროვ! ეს რა პეტენ, რა? რა?—
რად მიღალატე? რად დამტოვე ობლად, ეულად?
რა დაგიშავე?—ოლონდ გეთქვა და მე არარა
გადვიქცევად! მძლედ! ერთეულად!
ოლონდ გებძანა და სევდის ფერ შავ-თვალი ცაზე—
ბედ-დანაფურცლო! ავანთებდი თეთრ-თვალი დილას;
ოლონდ გებძანა და კეწყეწა შენ სახის ყდაზე
ავამლერებდი გაზაფხულის ჭკვიან გვირილას...
ეხლა კი... ეხლა მეზიზები, რომ შენის ნებით
უარპყავ წმინდა სამიჯნურო ჩანგურის ქლერა,
ეხლა კი... ეხლა მეზიზები ლრმად, გიურ გრძნებით...
... თუმცა ეს ზიზლი ჩემს სიყვარულს ვერ მოსპობს, ვერა!

ი. გრიშაშვილი.

გერცხლით სიყვარული

(შემდეგი *)

მარინეს ამგვარი მდგომარეობა პირველ ღროდგანვე დაიწყო,
რადგან მას სულ სხვანაირადა ჰქონდა ცხოვრება შეგნებულ-შეთვი-
სებული, მინამ მის ქმარს. ბალლობილანვე კეთილი იყო მარინე და
მოსიყვარულე; სხვის გაჭირება თუ წუხილი გულს უსერამდა და
სტანჯამდა. ბუნების გულუბრყვილო შვილი მხოლოდ იმ სინათლეს
მისდევდა, რომელიც ყველას უნათებს და ათბობს. ამისთვის იყო,
რომ სიკეთის ციაგი გადაჭვნობა პირზე და კრთებოდა მის ლმო-

ბიერ თვალებში, ღიმილად იშლებოდა მის სანდომ ბაგეზე. აღზრდაც
ხელს უწყობდა მას: ბალლობილანვე შეჩევეული მცირედზე კმაყოფი-
ლებას და სილარისე ვერ აშინებდა, ოლონდ კი ღიმილი ყოფილიყო
მის გარემო საონოიანი; ჯაფასაც შეპქესოდა; ოლონდ კი გული მთე-
ლი ჰქონდა და ყოველსავე შრომას იტვირთებდა უყვალერებელად:
სამხიარულო შრომამ დაღლა არ იცის, არც ღრტვინვა.

ზოგი მხოლოდ მრავალზე არის კმაყოფილი; ამ ღროს იგი კე-
თილიც არის, ალერსიც იცის, სახეც ულმის, მაგრამ თუ მცირედ მა-
ინც შეერყა კეთილდღეობა და შეეშალა ნირი, მაშინვე მისი სიტ-
კბოება სიმწარედ გარდაიქმნება, მისი ღიმილი სასტიკ რამ ლრეჯად,
მისი ალერსი ტუქესად ფიცხელად; გულწრფელად დაივიწყებს წარ-
სულ სიკეთეს, სიმეს გარდასრულს, შეპრეფს ყოველსავე მარცხს თუ
ნაკლს ყოფისას, რომ შეპრას მათგან კონა ეკლისა და გულს უგმი-

*) იხ. სურათებიანი დამატება № 44.



ტფილის მ. ნინოს ლაზარეთში მყოფი დაჭრილები და მათი მომზადებელი.

როს მახლობელს. ეს, მაინც ესეთი უქმაყოფილო სჯობია იმ პირქუ-შად დაბადებულ ადამიანს, რომლის გულს მხოლოდ შავი მიწა გააძლობს.

ამ სახისა არ იყო მარინე. მისი კმაყოფილება არ იყო ნაწური ნივთიერის სიუხვისა, არც დოვლათის სიმრავლეზე აღმოცენებული; იგი იყო შედეგი თვით ქალის კეთილის ბუნებისა. ღვთის შეილი იყო მარინე სახიერასა და ისწრაფიდა განეხორციელებინა ქვეყანაზე სიხარული. თვის არსებაში თუ მოყვასთა პიროვნობაში ჰქედამდა ყოვლადნერთა შემოქმედის ბუნებას და უხაროდა; მხის სხივებში გრძნობდა ყოვლადბრწყინვალე ღვთაების შუქთა კრომას და შესტრფოდა; გრილ ნიავში განიცდიდა ცეცხლთა მაგრილებელ სუნთქვას ყოვლადყეთილის ღვთაებისა და ნეტარებდა; ყვავილთა მშვენება უჩვენებდა მას შემოუშერელ სიმშვენივრეს დამბადებულისა და შეპტრფინველი მათ; სულდგმულთ სიცოცხლე და მოძრაობა უსახამდა მას სამარადის და დაუცხრომელ მოქმედებას შემოქმედისას და ადიდებდა მას; ყოველი არსი რომ აქებდა მიუწოდომელს, ყოველი სულდგმული რომ უგალობდა მას ხმატებილად, მარინეც ჰქმადლობდა მამასა მას ზეციურს, რომ მოჰქმადლა მას სიცოცხლე და ლირს ჰყო ეხილნა დიდებული სიმშვენივრე არსისა.

მარინე ყველა ამას სწვდებოდა გრძნობათა სიმდიდრით, შეუგნებელ-გამოუკვეველი ალლოთი და მით უფრო ძლიერი. იყო მისი მისწრაფება სიყვარულისადმი არსისა. მარინეს უყვარდა არსი არა

რაიმე განზრახვით, არც მისთვის, რომ ეს იყო მცნება უფლისა განცხადებული და დაწერილი, ნაქადაგები და დასწავლილი, არამედ მისთვის, რომ თითონაც განუყოფელი ნაწილი იყო სამყაროსი, რომელი არს მისწრაფება უძლეველის სიყვარულისა და განხორციელება მისი შეუსაზღვრელი.

ესეთი მოსიყვარულე გული შეიტანა მარინემ ქმრის სახლში, სიხარულით სამსე და კმაყოფილი გული. ამისთვის იყო, რომ მტლად ედებოდა იგი ქმარ-შვილს, ოჯახს, ნათესაობას, ყველა მის გარემო მყოფს. ქალსა ჰსურდა ყველას მიჰურდა მცირეოდენი სხივი მაინც იმ დაუშრეტელის სიხარულისა, რომელი საცნაურქმნილიყო მის არსებაში.

ეს, ყველა რომ ესეთი გრძნობით შესულიყო ცხოვრებაში, იგი მაშინ ესეთს წყვდიადს ხომ აღარ წარმოადგენდა და არც კაცთა ნათესავის კრებული იქნებოდა ერთმანეთის ჩანმთქმელ არსებათა ხროვა, მხოლოდ გარეგანის ძალით აღირასხმული და ჰეშმარიტად ლაგამასასხმელი.

ქალი ისწრაფიდა მოსიყვარულე ოჯახი შეექმნა თვისის ხელით, სათნოიანი, მორწმუნე, დამბადებელზე სასო დამყარებული და მის ქმნილებათა სიმშვენივრის მოტრფიალე ოჯახი; მცირესა ზედან კმაყოფილ მოღიმარე სახლი. ის დარწმუნებული იყო, რომ ესეთივე უმანკო და სანდომიანი გრძნობები და ჰქედებოდა ბედისაგან მისთვის მინიჭებულის მეულლის გულში, გარნა უფრო განვითარებული, გონე-

ფოთის ქალთა საკროფესიო სასწავლებელი ა-6 ლოდის ასულისა.



J.3.3



J.3.3

სასწავლებლის მასწავლებლები და შარშან კურს დამთავრებული მოწაფენ.

ქარგვის კლასი.



კაპ. დიომიდე გაბელაშვილი
(დაჭრილია).



ვის. ფილიძე უ-რუსოლიანი
(მოკლულია).



ექიმი ი. ა. თარადაშვილი
(დაჭრილია).



კორნეტი გომრგი ფორაქიშვილი
(დაჭრილია).



გოლინოვრედ. კონსტანტინ ხიმ-
შიაშვილი (დაჭრილია).



ჯ.-კ. ტიმოთე კაჭარავა
(დაჭრილია).

ზის შუქით განათებულ-გაბრწყნვებული. ქალს თვისი შეხედულობა ცხოვრებაზე ბუნებრივია და ეჭვიც არ დაპატიჟებია იმაზე, რომ სხვა ადამიანი, განათლებული კაცი, სხვანაირად შექხედა მდა წუ- თისოფელის სიცოცხლეს და სხვაგვარად დააფასებდა მის ღირებულებას.

21

ამისთვის იყო, რომ დიასახლისობას პირველ ხანში იმ ნიადაგ-ზედვე იდგა ქალი ქმირს ოჯახშიც, როგორც თავის მამის სახლში. მადლობით იღებდა ყოველსავე, რაც მოეპოვებოდა და სცდილობდა კვაყოფილება და სიამე გაემრავლებინა თვის გარემო. მაგრამ მალე იგრძნო, რომ ეს გულუბრყვილო სათნოება ვერა ხეირობდა მის ახალ ბინაზე და მსწარაფლ ჰქნებოდა. შენიშნა, რომ ნათესავები თუ მეზობლები ვერ იყენებ გულლინი მის ჭერ ქვეშ, ვერც მხიარულნი; ფრთხილობდნენ, რაღასაც ერიდებოდნენ; თავინთ დარდი თუ ვარამი ვერ ეთქათ; ლუქმის აღება ერიდებოდათ; ყოველ ქამს ჰვრძნობდნენ ვაუკაცის მზირს და მეტის-მეტად ანგარიშიან თვალს, რომელში გამქრალიყო თვით ნასახი გულუბრყვილო სიუხვისა.

მანც ჯერ თვის გუნებისამებრ იქცევოდა ქალი: ხელგაშლილი ეგებებოდა ყველას, თბილ და ტებილ სიტყვას არავისთვის იშურ-ვებდა, მეზობლებთან და ნაცნობებთან უბრალოდ შედიოდა და მათ ჭირსა თუ ლხინს იზიარებდა; თვალყურს აღევნებდა ყველაფერს, რაც კი ახარებდა სოფელს ან რაც გულსა ჰვმირდა მას და სტკენდა. გაჭირვებულთა ხელის აღმპყრობელი იყო მაშინ შეძლებისა და გვარად. ნუ კი გვინდით, სახლს არა ზოგადა და ანივებდა. არა! ამას არც ვინმე თხოულობდა მისგან სოფელში. მაგრამ უკიდურესობაში ჩავარდნილს უთუოდ წაახმარებდა ხელს. ან რატომ, რა დაკლდებოდა ამით სახლს? ვსწევათ, ხურჯინით მოტანილი ნამცხვარიდან ნამტკრევებს ან ლავაშებში გახვეულ შილაფლავიდან ნარჩენს ლარიბ მეზობელს მიწვდიდა; ბზობას თუ ხარებობას შემოსულ ზურ-გვიელის ნაჭრებიდან ერთ-ორ ნაუჭშს დანატრულებულ საწყლებს შეუგზავნიდა; აღდგომას შეგროვილ წითელ კვერცხებიდან რამდენსამე ჩამტვრეულ-ჩალეჭილს უმწეოს მიუბყრობდა პირის გასახსნილებლად; თბილს კერძს გაუგზავნიდა ავადმყოფს; წასახურად ნახმარ ქსოვილს, ხატის კარს გახდილს თეთრ ხალას თუ კოლობურტში შემოსულ კაბის ძველის შეუგზავნიდა ვისმეს, რომელსაც აგერ შეღერებული გო-

გო ტიტველი ეგდო კერასთან და სიშიშვლის გამო წყაროზედაც კი ველარ გაეგზავნათ. განა ამისთანა გულმტკივნეულობა თუ გაღება კეოილდღეობას შეასუსტებდა ან ოდნავ მაინც შეარყევდა? სრულებითაც არა! კიდეც გაამაგრებდა ოჯახის საფუძველს, რადგან ხალხი დიდად დააფასებდა ამისთანა უჩინარ წვლილს, შეიყვარებდა გამლებს და ეს დიდი თანხა შეიქმნებოდა მისთვის, განა მხოლოდ ზეობრივი თანხა, თვით ნივთერიც. სოფლად, მიყრუებულ-მივარდნილ ადგილის, ხალხის სიყვარული და თანაგრძნობა სწორედ განძია ხელშესახები; კაცი რომ კაცის წამალია, გამოყრუებულ სოფლად უფრო ემჩნევა ეს ცხადად, თორემ ქალაქ აღგილას ამ თქმას სადღა აქვს მკვიდრი და თვალსაჩინო ნიადაგი.

ხომ განათლებული კაცი იყო მღვდელი ტიმოთე, მაგრამ ვერ ესმოდა ეს უბრალო კეშმარიტება, ბუნება არა ჰქონდა მოსიყვარულე და იმიტომ ვერ შეეგნო. მიმართულებაც ისეთი მიერო, ცხოვრების მიზანიც იმგვარი დაესახნა, რომ უფრო ამოახმ და გაასასტიკა ბუნებრივი მისი გულმშრალობა: ვერცხლის ფხენილი არ იყო ნიუიერი სასუქი ისეც გამოფიტულ ნიადაგისათვის და რაც უფრო მეტად ეტანებოდა და პოულობდა ამ ბჟევრიალი ნამცეცებს, იმდენად უფრო სასტრიქებოდა მისი გული, რომელშიაც უძიმისოდაც არა სდიოდა არც წყარო საჩუმუნოებისა, არც ნაკადი ლმობიერებისა. ამ ნიადაგზე ქარმა ნელ-ნელა შეზღუდა ქალის ეს მცირეოდენი გულკა-თილობაც და დაალონს იგი; მომხვეჭ დიასახლისად კი მაინც ვერ აქცია ულმობელად, როგორც იცნებობდა ხუცესი, მაგრამ წარსტაცა ხალის მოქედებისა, ხრამი რამ გაავლო ქალსა და სოფელს შუა, ცივი მზღვარი დასდო მათ შორის და მით უფრო სწრაფად იზრდებოდა ეს ზღუდე, რომ მღვდელი თხოულობდა მისგან, ტოლ-სწორად არ დაესახნა სოფლის ვიღაცა დედაკაცები და თავი არ გაეყადრებინა მათვის.

— გახსმდეს, რომ მღვდლის ჯალაბი ხარ, მოძღვართუზუცე-სისა, სოფლის ვიღაცა ოტროველები შენი სადარნი არ არიან, არც შენი დარნი; ქალბატონი ხარ მათი და ყველა შესაფერი პატივით უნდა გებყრობოდეს.

— ძნელი იქნება ჩემთვის მთლად ჩამოვშორდე მეზობლებს; ვერც მოვახერხებ მათთან ნამდვილ ქალბატონობას და არც საჭიროა. რომ იცოდე, რა პატიოსნები არიან ზოგიერთი, ჭკვიანები და გულკეთილი, შენც კი პატივცემით შექხდა მათ.

— ეგრე იმსითვის გეჩევნება, რომ ბალონბიდანვე მაგათში ხარ გაზრდილი, სუფთა ხალხი არ გინახამს, არაგითარი განათლება არ მიგილია და გვონია, მაგათზე უკეთესი აღარავინ არისო.

უხერხულადა გრძნობდა ქალი თავს, უაზროდ. შენდღვილ-შე-
ბოჭილად და მის მხარულ გულს სევდის ნისლი ეპარებილა.

— თუ დიასახლისა ვარ, ამისთვის წვრილმანი საოჯახო საქმე
მე უნდა მექითხებოდეს; გაუკაცი არ უნდა ერეოდეს შიგ. რა იცის
იმან იჯახის მრავალგვარ საქმიანობისა ან რა მისი საქმეა ყოველი-
ვე ეს? უბრალოდ მიშლის ხელს. ხომ დარწმუნებულია, რომ ჩემს კე-
რას არ ვულალტებ; ისიც ხომ იცის, ამ საქმისათვის ჭკუაც შემ-
წევს და უნარიც; რაღა საჭიროა აქაც მისი სასტიკი ბრძანება თუ
განკარგულება. მიშლის სოფელთან ერთობას და მეგობრობას, სულ
შემომიტრთხო მეზობლები; როცა შინ არის, არასოდეს არ მოპარ-
დამენ ჩემთან. რასა ჰყავს ეს? ნუ თუ ეს არის განათლებული შეხე-
დულობა ცხოვრებაზე?! ამბობდა ქალი გულში და სწყინდა ქმრის
ჭკევა.

შლვდელი კი თანდათან ძალას იჩენდა, მისი მისწრაფება ფარ-
თედა ჰშლიდა ფრთებს და ლალად დანავარდობდა სოფლიდან-სო-
ფელს. გამოცდილს ძალთამექონეთათვის მიებყრო ზურგი და ოვის
ანგარ მოქმედებას საფარველთა ქვეშ კანონთასა ჰფარვიდა, რათა
ვერლა წინააღმდეგომდა მას მტერი იგი და შურისმგებელი. ძნელიც
არ იყო ეს მისოვთის: აჯამსა და მეამიტ ხალხში სცხოვრობდა და სა-
თვისოდ მარჯვედ ჰლვედავდა გარემოებებს, თავისეკნა ჰხრიდა და
არუებდა. მარად ანგარიშის მიღებანამ, ყოველივე დანგის თავისეკნა
მიზიდვამ სათნოება მთლად ამოფხერა მის გარემო, ხოლო გაამეფა
რიდი და კრძალვა. მრევლი ხომ ჯერ უგულოდ და უნდობლივ
ებყრობოდა თავის მოძლვარს, ეხლა კიდეც შეაშფოთა სოფელი მის-
მა მოქმედებამ და იგი დაფარული მტრობით გაჰყურებდა მლვდლის
სახლის განათებულ ფანჯრებს. მარინეს გულიც კი ნელ-ნელა იხშო-
ბოდა ტიმოთეს წინაშე და საამო მნიდობის მაგივრად ივსებოდა
მოქრძალებისა და ცივ პატივცემის-გრძნობებით. იწამებოდა მოსი-
ყვარულე მარინე, როცა ჰევედმდა, რომ ოჯახიდან ნელ-ნელა გადი-
ოდა ანგელოსი ტყბილის ლიმილისა და მის ნაცვლად ფეხს იყიდებ-
და იქ დაუნდობელი და აბეზარი ეშმა წვრიმანი ანგარიშისა, რო-
მელთანაც დიასახლისს არაფერი ჰქონდა საერთო. ქალი არ იყო
მებრძოლი ბუნებისა და ამ გარემოებამ გულში ნაღველი ჩაუგდო,
ჩუმი რამ დარდი ჩაუსახა კეთილ თვალებში, სევდის ნასახი ალუ-
ბეჭდა ოდესმე მოლიმარ ბაგეზე. ქალი ისევ მონა-მორჩილი იყო
ქმრისა და შეუძლებომელი მოჭირნახულე ოჯახისა, გარნა ცველა ეს
წარმომდინარეობდა არა სავსებისაგან მისის გულისა, არამედ იქი-
დან, რომ ესეთი ქცევა აუცილებელი იყო ერთხელ და სამუდამოდ
ნატვირთ წმიდა მოვალეობის ასასრულებლად. აკი ბოლომდისაც შერ-
ჩა ოჯახს ქალის ერთგულობა თუ სათნოიანი მზრუნველობა და წყა-
რის ნათელით გაუშუქა მოძლვარს იგი ბნელი, რომელიც შენივთდა
მის ცხოვრების გზაზე.

22

დაღონება და აჩრდილი უქმაყოფილებისა ხელს არ უშენიდა დია-
სახლისს, რომ ერთგულად განეგრძო თავისი შრომა. მუშაობდა იგი
უთქმელად და შეუდრյომლად, ოჯახს წალმა ატრიალებდა; დილი-
დან სალამომდის წერიმან. საქმეში იყო ჩართული, ქალის ესეთს შეუ-
ფერხებელ შრომა-მოქმედებას მთლად შეეთვისა მისი ქმარი, თვალი
შეაჩვია ცოლს, როგორც რამ მოქმედ მანქანას, მისთვის სასიკეთოდ
მობართულს ერთხელ და სამუდამოდ. დააგიწყვდა, რომ იგი მანქანა
ცოცხალია, სულდგმული, ფიქრთა თუ გრძნობათა მექონი, საკუთარ
მისწრაფებათა მოალერსე და შეიძლება იტანჯებოდეს სიმძიმილ
აწვებოდეს გულს და ატკნდეს.

ან კი რა საქმე ჰქონდა ხუცესს ცოლის ცოცხალ პიროვნობას-თან?! მას მიზნად დაედგა მხოლოდ ნივთიერად ავსება სახლისა და აყვავება, იგი ჰქედამდა, რომ დოვლათის გასამრავლებლად ამ მარატ მოძრავ და შერუცველ ადამიანზე უკეთეს ვერას მოჰქელამდა, და კმაყოფილი იყო მისი, აღარც იმის დარღი ჰქონდა, რომ ქალს ამ თავაუღებელ ზრუნვა-შრომაში თანამგრძნობი გული უნდოდა, მოსი-ყვარულე და გამხალისებელ გამამხნევებელი, რომ საჭირო იყო მადლიერი თვალი მოალერსე არსებისა, რომელიც ყოველს წამს შზად არის გაღუშის ტვირთ ქვეშ დახრილი კისერი და დაუკოცნოს შრომის ოფლით შენამული სახე. ეს დიდი ჯილდო იქნებოდა ბუნებით ჩვილ ქალისათვის, დაუფასებელი სასყიდელი და უებარი საშუალება გასამხნევებლად, მაგრამ მას არა ჰყვანდა გვერდით ამისთანა თანამგრძნობელი და იგი შრომობდა, რადგან ეს იყო მისი ვალი, ერთ ხელ და სიკეთოლამდის ნატვირთი მოვალეობა. ძნელი კი იქნებოდა თუნდ მარინესათვის ესეთი შრომის ბოლომდის გატანა; გატყდებო-

და ქალი, გული დაებზარებოდა, თუ პატარები არა ჰყოლოდა გვერდს, რომელებზე ზრუნვა ბუნების კანონი იყო აუცილებელი და რომელ-თადმი სიყვარულში ჰპოვებდა იგი ქმაყოფილებას, თუმცა კი ცალ-მხრივს, რაღაც ქალი ჯერ ისევ ლონიერი იყო, გრძნობათა ნაკადი-არ ამონშრობოდა და მთლიად ვერ შეელეოდა პირად ცხოვრების სიტყბოებას. ცოდვაც იყო ეხლავე დაბშლილყო გრძნობათა სალარო ქალისა, ჩაჟრტილიყო მის ტკბილ გრძნობათა ტაგრუცი.

განა წელთა სიმრავლე კი მოთლად ახმობს გრძნობათა ნაკადს? არა! გული ყოველთვის ექცეს თანამგზნობელს. მაშ რა ქმნას, როცა უამისოდ მარტო დარჩება იგი უსამხლვრო სამყაროში და ჩანთქმეს მას წყვდიადი ცივი, მწარედ ააკრენესებს საბრალოს.

ამას არა ჰქედამდა ვერცხლოთა ბზინვით თვალიბმული ხუცესა, ტრიფიალი იგი ვერცხლისა დაპნავლებოდა მისთვის ყოველსავე ნაზ გრძნობას სუნნელს და ისე მოეჭრა მისთვის თვალი, რომ იმასც კა ველარ აჩნევდა, რომ უმაღლერმა შრომაშ ნელ-ნელა გატესა ქალი და დათელა მისი ხალისა. ანგარებით გატაცებული თანდათან მეტ შრომასაც თხოულობდა მეულლისაგან.

— ვის გაუგონია, დედაქაცი სახლში იყოს და ვერ შესძლოს გაჭირებაში მაინც სარეცხი ამორეცხოს ან ორი-სამი რიგი პური. ჩაკრას?! რა ვუყოთ, რომ საბედა ავად გამხდარა; მოიხმარე გოგო და ჩაკარ რამდენიმე პური შეუტია ქმარმა და კარი გააჯახუნა.

ეწყინა მარინეს, გაუკვირდა: მამის სახლში, უბრალო მთავარ-
ლიაკვინის ოჯახში, არას ღრის არ დაუვალებიათ მისთვის ამგარი
მძიმე საქმე და აქ, ქმრის სახლში, მღვდელობულების შეძლებულ
ოჯახში, რად უნდა ატვირთონ მას ესეთი სიმძიმე, რა გაჭირების
გულისათვის?

— მაგრამ რა ენალვება თავშისულს?! ოლონდ კი მას არა.
დააკლდეს რა, არც არაფერ, დახარჯოს და თუნდ ჩაკვდეს მის სამ-
სახურში ადამიანი, გაიფიქრა ქალმა.

და შეკრთა: მართლა და ტიმოთეს სახლში და არა ქალის
ოჯახში! ქალი ეხლა ისე იყო დატვირთულ-შეზღუდვილი თვის კე-
რაზე, როგორც დაქირავებული ვინმე დედაკაცი. ყველა მოვალეობა
უნდა აღესრულებინა, თვის ნებაზე კი ვერაფერს გააკეთებდა ცხა-
დად და გულსაცხედ.

— რადა? რად უნდა ვიყო ესე შეზღუდვილ-შევიწროებული და რომელი უფლების ძალით. პო, თუ მფლანგავი ვიყო ან უყამური. სწორედ უსამართლობაა ადამიანის მის სახლშივე ესე შებოკვა, ფიქ- რობდა ქალი.

და ნეტარებით იგონებდა თავის ქალწულობას, როცა ის თავის მამის ოჯახში დატრიალებდა ყველასაგან საყვარელი და ყველას მოყვარული.

— და როდების? ნუ თუ ბოლომდის, სიკვდილამდის? უნდა ვიშრომოთ, ვიყაირათოთ, შევიძინოთ სიმართლით თუ უსამართლოდ, ავაგროვოთ ქონება. როდის და უნდა ვიცხოვოთ აღამიანურად?

— მაშინ, როცა უკვე საქმაო ცხოვრება გვექმნება, როცა მევიღრი საფუძველი ჩაეყრება ჩვენს კეთილდღეობას. მაშინ უკვე შეგვეძლება გულდინჯად შევხედოთ ცხოვრებას და მის ყოველგვარ ცვლილებას; მაშინ ვეღარ შეგვაძრწუნებს არსებობის სიღებჭირებს; მაშინ უკვე შევძლებთ ჩვენის თავის შველასაც, სხვის ხელის აბყრო-

— მაგრამ ესეთი დრო რომ არასოდეს არ დაგვიღება! ვის-
თუ მთელმა სიცოცხლემ მხოლოდ ცხოვრებისთვის მზადებაში გაია-
როს და მოულოდნელად გაიღოს სამარის კარი ჩვენს წინაშე, რო-
გორც იმ მდიდრის წინ, რომელსაც სული ამოსტოდეს სწორედ მა-
შინ, როდესაც უკვე აპირობდა შექრებილ დოგლათზე განცხრომას.

— და შეგროვდება კი ამ გზით სიმღილრე რამე შესამჩნევი? თუ ფულის მოხვეჭის გზა სულ სხვა არის, უფრო ფართე და თავი-სქებური, სადაც კაცი აპისძის შადრევანს სიმღილრისას და აწვიმებს ოქროს თავისთვისაც, სხვისთვისაც? ან სადაური ეკლესიის მსახურია, როდესაც ღმერთიც, მრველიც, თვისი საყდარიც მხოლოდ იმდენადა სწამს, რომენადაც იგინი არიან წყარონი ქონებისა. არა, ესე არ უნდა იყოს ეს. აյა არც მამა სცხოვრობს ესე, ყველასაგან პატივცუ-მული საწყალი მამა! ფიქრობდა ქალი და ჰაზრი ვერ ეპოვნა ქმრის. მოქმედებაში, ვერ შესჩვევობდა კეთილ გრძნობათა გარეშე ყოფნას.

(შემოვიდი იწნება)

3. ბარნოვი.

